

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31.12.1997, გვ. 21) 423-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის “ზ” ქვეპუნქტი:

1. “ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება/გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.”.

მუხლი 2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე იმ ფიზიკურ და იურიდულ პირებზე, რომელთაც უარი ეთქვათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინების/გადაწყვეტილების საფუძველზე, აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლებაზე თუ ზემოაღნიშნული პირები სასამართლოს, აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, მიმართავენ ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი